სსიპ – ივანეჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად **რექტორის 2018 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №202/01–01** საფუძველზე ბიოლოგიის დეპარტამენტზე, კათედრა- **იმუნოლოგია და მიკრობიოლოგია,** გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს **2018 წლის 13 სექტემბრის № 200/2018** დადგენილების პუნქტი1.-ის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

**შემაჯამებელი ოქმიN1**

ქ. თბილისი „25“ ოქტომბერი, 2018 წ.
15:00

**სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 4 წევრი:** 1. პროფ. ნანული დორეული (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 2. პროფ. არნოლდ გეგეჭკორი; 3. ასოც. პროფ. ნინო გაჩეჩილაძე, 4. ასოც. პროფ. მარიამ გაიდამაშვილი (კომისიის მდივანი).

**დღის წესრიგი:**

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის **ბიოლოგიის დეპარტამენტზე, კათედრა - იმუნოლოგია და მიკრობიოლოგია**

1. ასოცირებული პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების შედეგების შეჯამება.

2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

**მოისმინეს:**

კომისიის თავმჯდომარის მოადგილის პროფესორ ნანა დორეულის ინფორმაცია კომისიის მიერ კონკურსის ორივე ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და კონკურსის შედეგების ურთიერთშეჯამების შესახებ.

შეფასების პირველ ეტაპთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ კონკურსანტ ნუნუ მიცკევიჩის **განათლება** (თსუ, კვალიფიკაცია ბიოლოგი, ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებელი სპეციალობით იმუნოლოგია), **აკადემიური/ სამეცნიერო ხარისხი** (ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი გრიფით -ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი გრიფით 14.00.36 - ალერგოლოგია და იმუნოლოგია), **სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი (6 წელზე მეტი)** ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად კონკურსანტმა I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით მიიღო შეფასება **„კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.**

**II კატრეგორია - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან -** აღინიშნა, რომ კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება და საერთო პედაგოგიური სტაჟი

(20 წელი), სასწავლო–მეთოდური საქმიანობა, მის მიერ წაკითხული სასწავლო კურსები (10) ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და ბიოლოგიის დეპარტამენტის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების სავალდებულო საგნების ნუსხაში შედის,. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ–ში დადგენილ მოთხოვნებს. კონკურსანტს სტაჟირებები და ტრენინგები წამყვან სამეცნიერო ცენტრებში (კორუნას უნივერსიტეტი, გრანადას უნივერსიტეტი, ფერარას უნივერსიტეტი, ვირჯინიის უნივერსიტეტი, ვესტმინსტერის უნივერსიტეტი) აქვს გავლილი.

კომისიის გადაწყვეტილებით II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება „მაღალი“.

**III კატეგორია** -(სამეცნიერო –კვლევითი საქმიანობა). კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 18 სამეცნიერო პუბლიკაცია, მათ შორის 6 იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში. ბოლო 6 წლის მაძილზე იგი მოხსენებებით წარსდგა 13 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, მონაწილეობა მიიღო 4 საგრანტო პროექტის მუშაობაში. ნ. მიცკევიჩი აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან. სამეცნიერო კვლევების კონცეფციის სტრუქტურა და შინაარსი პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

**IV კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი).** აღნიშნულ კატეგორიაში წარმოდგენილი იყო ბოლო ექვსი წლის განმავლობაში კონკურსანტის მიერ განხორციელებული აქტივობები. აღსანიშნავია, რომ იგი აქტიურად მონაწილეობს თსუ-ში სწავლით ახალგაზრდა თაობის დაინტერესების საქმეში, თავისუფლად ფლობს რამდენიმე უცხო ენას, არის რამდენიმე სამეცნიერო საზოგადობის წევრი. ნუნუ მიცკევიჩის საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

კონკურსის მეორე ეტაპთან - გასაუბრება - დაკავშირებით აღინიშნა, რომ ნუნუ მიცკევიჩის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია ბიოლოგიის დეპარტამენტზე, კათედრა - იმუნოლოგია და მიკრობიოლოგია - არსებულ ასოცირებული პროფესორის ვაკანსიასთან. აღნიშნულ ვაკანსიაზე, ჩატარებული ფარული კენჭისყრით კომისიამ ერთხმად (ოთხი მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) დაუჭირა მხარი ნუნუ მიცკევიჩის კანდიდატურას.

**დაადგინეს:**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტზე, კათედრა - • იმუნოლოგია და მიკრობიოლოგია- ასოცირებული პროფესორის ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის I (ოქმი #1) და II (ოქმი #2) ეტაპების შედეგების საფუძველზე გამარჯვებულად გამოვლინდა შემდეგი კანდიდატი:

- ბიოლოგიის დეპარტამენტი

  კათედრა - იმუნოლოგია და მიკრობიოლოგია

ნუნუ მიცკევიჩი – ასოცირებული პროფესორი;

2. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ #118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა - შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:
პროფ. ნ. დორეული

კომისიის მდივანი:
ასოც.პროფ. მ. გაიდამაშვილი